ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2316693

ნომერი: AR1356165

თარიღი : 12.11.2015

გაცემის თარიღი : 27.11.2015

გაცნობის თარიღი : 30.11.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , სატრანსპორტო გაერთიანების ტერიტორიიდან/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , N 8-ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გუგუნავა პ/ნ 01033000108
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 37 ბ. 93

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

2015 წლის 12 ნოემბრის AR1356165 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მოქალაქე გიორგი გუგუნავამ და მოითხოვა ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ცაბაძის ქუჩაზე, სატრანსპორტო გაერთიანების ტერიტორიაზე, ცაბაძის ქუჩის #8ბ–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.07.020.069) მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა.

საკითხი განიხილა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭომ". «ზონალური» საბჭოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას და ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანას. "ზონალური კომისიის" 2015 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმი #53–ის რეკომენდაციის და

სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

# ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე გიორგი გუგუნავას ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ცაბაძის ქუჩაზე, სატრანსპორტო გაერთიანების ტერიტორიაზე, ცაბაძის ქუჩის #8ბ–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.07.020.069) მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას.

---

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.